

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

- 1.1 შპს „სქაი-ინ“ (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2011 წლის 10 ნოემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 406058019, იურიდიული მისამართი - ქ.თბილისი, სამგორის რაიონი, ლილო, მომარაგება-გასაღების სახ. კომიტეტის ავტოსაწარმოსა და რკინიგზის ჩიხს შორის. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2012 წლის 22 აგვისტოს.
- 1.2 კომპანიის წილის მფლობელები არიან: 25%-ის მფლობელი, რიტა ქანაან (პ/ნ 01208068984), 50%-ის მფლობელი, თრეისი დებორა არეჯ საადი (LR0436237) და 25%-ის მფლობელი, ანელ კუმარ პარაიანკოტი (პ/ნ 01791002403).
- 1.3 კომპანიის დირექტორია რიტა ქანაანი, პ/ნ:01208068984
- 1.4 კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: კვების მზა პროდუქტებისა და კერძების წარმოება.
- 1.5 წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

- 2.1 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნოშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.
- 2.2 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდში.
- 2.3 გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოულის, რომ მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების

დირექტორი
რიტა ქანაან

რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

- 2.4 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.
- 2.5 კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე)
- 2.6 კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რელიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეღვო მოთხოვნის აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი, ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისთვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დანატებითი განსჯა, საღიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები დაგაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლები დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგება ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულებების სახით.

დირექტორი
რიტა ქანაან

მარაგები

მარაგები აღრიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შესფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული საღაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისთვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთისთვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო მომსახურების ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით შემდეგი საექსპლუატაციო ვადის გათვალისწინებით:

შენობა-ნაგებობები - 20 წელი;

ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 8 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8 წელი;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7 გადასახადები

დირექტორი
რიტა ქანაან

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან), კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოუშვებთ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2020 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8 წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9 გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისთვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი

1 EUR=4.0233 ლარი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,8677 ლარი

1 EUR=3,2095 ლარი

დირექტორი
რიტა ქანაან

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1 ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარებით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარებით
ნაღდი ფული სალაროში	0	0
ლარი საბანკო ანგარიშებზე	26904	99723
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	1977323	1895084
ევროები საბანკო ანგარიშებზე	19964	15926
სულ:	2024192	2010733

3.2 სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარებით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარებით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	204112	394712
სულ:	204112	394712

3.3 სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარებით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარებით
სხვა მიმდინარე აქტივები	172848	242496
სულ:	172848	242496

3.4 ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარებით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარებით
მიწის ნაკვეთი	0	0	0	0
შენობა-ნაგებობა	1906445	0	111982	2018427
მანქანა-დანადგარები	68636	0	16182	84818
ოფისის აღჭურვილობა	9079	0	2087	11166
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7987	0	1794	9781
სატრანსპორტო საშუალებები	446841	0	70410	517251
სულ:	2438988	0	202455	2641443

დირექტორი
რიტა ქანაან

3.5

სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარებით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარებით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	418502	106032
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	0	0
სულ:	418502	106032

3.6

საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარებით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარებით
გაუნაწილებელი მოგება	4264074	5107787
სულ:	4264074	5107787

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2020 წლის მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2020 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.7

ნეტო ამონაგები და რელიზებული საქონლის თვითღირებულება:

2020 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა კვების მზა პროდუქტების და კერძების რეალიზაციისგან.

	2020 წელი
საქონლის გაყიდვიდან	1887381
სხვა შემოსავალი	0
რელიზებული საქონლის თვითღირებულება	-405570
სულ:	1481811

დირექტორი
რიტა ქანაან

3.8 სხვა შემოსავლები და საერთო ადმინისტრაციული ხარჯები:

სხვა ხარჯების დასახელება	2020 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	724990
ცვეთა და ამორტიზაცია	202456
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშზე დარიცხული პროცენტი)	0
იჯარის ხარჯები	233226
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1164852
სულ:	2325524

3.9 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 7 სექტემბერს

დირექტორი
რიტა ქანაან

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
 სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები
 მარაგები
 მზა პროდუქცია
 სხვა
 საინვესტიციო ქონება
 სხვა მოკლევადიანი აქტივები
 ბიოლოგიური აქტივები
 თვითღირებულების მოდელით
 გადაფასების მოდელით
 გუდვილი
 სხვა არამატერიალური აქტივები
 ძირითადი საშუალებები
 ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში
 ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში
 სხვა გრძელვადიანი აქტივები
 სულ აქტივები


ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება
 სავაჭრო ვალდებულებები
 ანარიცხები
 ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ
 საგადასახადო ვალდებულებები
 გამოუმუშავებელი შემოსავალი
 მოკლევადიანი ნასესხები სახსრები
 გრძელვადიანი ნასესხები სახსრები
 მიღებული გრანტები
 სხვა ვალდებულებები
 სულ ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')

31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
2024192	2010733	2640404
204112	394712	345577
0	242496	0
225198	134348	28717
52350	134348	0
172848	0	28717
0	0	0
0	0	0
0	0	0
0	0	0
0	0	0
0	0	0
0	0	0
2388508	2590964	2376991
0	0	0
0	0	0
0	0	0
4842010	5373253	5391689
417308	0	0
1194	106032	56963
0	0	0
0	0	0
0	0	11311
0	0	0
0	0	0
0	0	0
0	0	0
0	0	0
418502	106032	68274
159434	159434	159434



საემისიო შემოსავალი
გამოსყიდული საკუთარი აქციები
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)
გადაფასების რეზერვი
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები
სულ საკუთარი კაპიტალი
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები
სულ მოკლევადიანი აქტივები
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები

0	0	0
0	0	0
4264074	5107787	5163981
0	0	0
0	0	0
4423508	5267221	5323415
4842010	5373253	5391689
225198	134348	28717
418502	106032	68274



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები


	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	1887381	5897231
საქონლის გაყიდვიდან	1887381	5897231
მომსახურების გაწვიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-405570	-1002648
საწყისი მარაგები	0	28717
მარაგების შესყიდვა	0	704469
გაღამუშავების დანახარჯები	0	403810
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1481811	4894583
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-724990	-1095386
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-202456	-201924
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-233226	-233226
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1164852	-418262
სულ საოპერაციო ხარჯები	-2325524	-1948798
საოპერაციო მოგება	-843713	2945785

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:


ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-843713	2945785
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-843713	2945785

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
---	---	---



სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პრ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-843713	2945785
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5267221	5323415
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-3001979
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4423508	5267221



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	13459	-629671
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	13459	-629671
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2010733	2640404
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2024192	2010733

